



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000046920857721

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 14

13 / მაისი / 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების (ავტომობილი „MERSEDES-BENZ“, ტიპი „სედანი“, საიდენტიფიკაციო ნომერი WDBJF65J2YB008848, რეგისტრაციის ნომერი BB089PB, გამოშვების წელი-1999) ა. (ა). ი. პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე, 56-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების (ავტომობილი „MERSEDES-BENZ“, ტიპი „სედანი“, საიდენტიფიკაციო ნომერი WDBJF65J2YB008848, რეგისტრაციის ნომერი BB089PB, გამოშვების წელი-1999) ა. (ა). ი. პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით უკადოდ გადაცემა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N33 განკარგულება - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახურისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ. N101)

